



საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

დამხმარე სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლებისთვის

საქართველოს
კრედიტდენდის
არჩევნები
2018

სარჩევნი

არჩევნების ძირითადი პრინციპები	3
მუნიციპალიტეტის ორგანოთა როლი საარჩევნო პროცესებში.....	4
1. საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ხელშეწყობა	4
2. წინასაარჩევნო კამპანიისთვის (აგიტაციისთვის) თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა	7
შეზღუდვები, რომელიც ვრცელდება საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებზე	11
1. წინასაარჩევნო აგიტაციის განწევა და აგიტაციაში მონაწილეობა	11
2. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად არჩევა/დანიშვნა	12
3. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი პირის დამკვირვებლად რეგისტრაცია	15
4. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან	16
ადმინისტრაციული რესურსები.....	18
ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა.....	21
უნყებათაშორისი კომისია.....	25
საბიუჯეტო თანხების გამოყენების აკრძალვა.....	28

თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა	31
პასუხისმგებლობა კანონმდებლობის დარღვევისათვის.....	34
1. საქართველოს ორგანული კანონით “საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები	34
2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები	36
ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით.....	38

წარმოდგენილი დამხმარე სახელმძღვანელო მომზადებულია საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისთვის და განკუთვნილია ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოთა წარმომადგენლების სასწავლო მიზნებისთვის. საკანონმდებლო რეგულაციების სრული სახით გაცნობის მიზნით, იხილეთ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტები.

არჩევნების ძირითადი პრინციპები

- **საყოველთაო საარჩევნო უფლება** - საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, პლებისციტში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება არა აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენის საფუძველზე მოთავსებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, აგრეთვე მხარდაჭერის მიმღებს, თუ იგი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოთავსებულია სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 3.ა).
- **თანასწორი საარჩევნო უფლება** - ყველა ამომრჩეველს კანონის ფარგლებში აქვს თანასწორი უფლებები და საარჩევნო უფლების რეალიზაციისათვის თანასწორი პირობები. ერთი და იმავე საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვს (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 3.ბ).

- **პირდაპირი საარჩევნო უფლება** - საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრს, თვითმმართველი ქალაქის/თემის საკრებულოს წევრს, თვითმმართველი ქალაქის/თემის მერს ამომრჩევლები ირჩევენ უშუალოდ (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 3.გ).
- **კენჭისყრის ფარულობისა და ნების თავისუფალი გამოვლენის პრინციპი** - საქართველოში არჩევნები, რეფერენდუმი და პლებისციტი ტარდება ფარული კენჭისყრით. საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას. ასევე აკრძალულია კონტროლი ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 3.დ).

მუნიციპალიტეტის ორგანოთა როლი საარჩევნო პროცესებში

1. საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ხელშეწყობა

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოები, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირები (გარდა წევრობაზე დაფუძნებული და რელიგიური გაერთიანებებისა) და სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის ორგანოების 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ორგანიზაციები საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, ვალდებული არიან საარჩევნო კომისიებს დროებით და უსასყიდლოდ გადასცენ არჩევნების მომზადებისა და

ჩატარებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობა და ინვენტარი და უზრუნველყონ გადაცემული შენობა-ნაგებობის კომუნალური ხარჯების დაფარვა (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 58.1).

საარჩევნო კომისია ქონების გადაცემის თაობაზე დასაბუთებული მოთხოვნით მიმართავს შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან/და მუნიციპალიტეტის ორგანოების 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ ორგანიზაციებს (საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ - მუხლი 35.3). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო მიმართვის წარდგენიდან 10 დღის ვადაში განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას მოთხოვნილი ქონების გადაცემის თაობაზე. წერილობითი თანხმობა უნდა შეიცავდეს:

- ქონების მიმღები ორგანოს დასახელებას;
- ქონების დასახელებასა და დახასიათებას;
- ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას;
- ქონების გადაცემის სხვა პირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 1 თვის ვადაში (საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის დადგენილება №302 "სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი

განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“).

სათანადო შენობა-ნაგებობის არსებობის შემთხვევაში საარჩევნო უბნისთვის ისეთი შენობა-ნაგებობა უნდა გამოიყოს, რომელიც ყველა ამომრჩევლისათვის იქნება ხელმისაწვდომი, ხოლო ასეთი შენობა-ნაგებობის არარსებობის შემთხვევაში საარჩევნო უბნისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობა, სადაც ეს შესაძლებელია, მისი გადამცემი ორგანოს მიერ კენჭისყრის დღისთვის ადაპტირებული უნდა იქნეს ყველა ამომრჩევლისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

საუბნო საარჩევნო კომისია არ უნდა განთავსდეს და კენჭისყრის ადგილი არ უნდა გამოიყოს იმავე შენობაში, რომელშიც განთავსებულია:

- პარტია;
- სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე არ არის სხვა, შესაფერისი შენობა კენჭისყრის ჩასატარებლად. სათანადო გადაწყვეტილებას იღებს საოლქო საარჩევნო კომისია;
- პოლიციის ან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დანაყოფი.

ამასთან, **აკრძალულია** პარტიის, პარტიის/საარჩევნო ბლოკის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის საარჩევნო შტაბის იმ შენობაში განთავსება, სადაც საარჩევნო კომისია განთავსებული. (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 19.8¹ და 58.1. 1¹. 2. 2¹).

2. წინასაარჩევნო კამპანიისთვის (აგიტაციისთვის) თანაბარი საარჩევნო ბარემოს ხელშეწყობა

წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე. პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები სარგებლობენ თანასწორი უფლებებით და აკისრიან თანაბარი ვალდებულებები საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით.

წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) პერიოდში პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს, საარჩევნო სუბიექტებსა და მათ მხარდამჭერებს უფლება აქვთ გამოვიდნენ მომავალი საქმიანობის პროგრამით, გამართონ შეხვედრები ამომრჩევლებთან, მოაწყონ შეკრებები, მასობრივი საჯარო გამოსვლები (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 45.3,6).

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ პოლიტიკურ პარტიებს/საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში და უზრუნველყონ აღნიშნული ღონისძიებების უსაფრთხოება (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 45.6). თუ შეკრება, ან მანიფესტაცია ტრანსპორტის სავალ ადგილას იმართება, ან ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებს, სავალდებულოა ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წინასწარი გაფრთხილება. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ვალდებულია დადგენილი წესით უზრუნველყოს სათანადო პირობები

და განსაზღვროს ტრანსპორტის სავალი ალტერნატიული მარშრუტი (კანონი შეკრებების და მანიფესტაციების შესახებ - მუხლი 5.1; მუხლი 11^{1.5}).

წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებიდან 5 დღის ვადაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან შეადგინონ და გადასცენ საოლქო საარჩევნო კომისიას იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 45.9). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხა ქვეყნდება აგრეთვე ცესკოს ვებგვერდზე.

აკრძალულია წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება შემდეგ დაწესებულებათა შენობებში:

- სასამართლოები;
- სამხედრო ნაწილები;
- საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები.

წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) პერიოდში პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს, საარჩევნო სუბიექტებს ასევე აქვთ უფლება დაამზადონ წინასაარჩევნო მოწოდებები, განცხადებები, წარწერები, ფურცლები, ფოტომასალები და სხვა (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 45.2).

აკრძალულია სააგიტაციო მასალების გავრცელებისთვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა, აგრეთვე სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მონყობილობით აღჭურვილი სხვა საშუალებების ჩამორთმევა და წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისათვის ხელის შეშლა. დაუშვებელია და კანონით ისჯება სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ისინი აკრძალულ ადგილებში არ არის განთავსებული (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 46.7¹. 45.2).

სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების, ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 46.1). ამასთან, აკრძალულია სააგიტაციო მასალის განთავსება/გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 46.2).

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, საარჩევნო კოდექსით დადგენილი ზემოთ აღნიშნული აკრძალვების გათვალისწინებით განსაზღვრონ იმ შენობა-

ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზედაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია, და განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად. სტენდი უნდა იყოს იმ ზომის, რომ სააგიტაციო მასალის გამოფენისას ყველა საარჩევნო სუბიექტი უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი პირობებით (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 46.4)

სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა გამოაქვეყნონ არჩევნების დანიშნვიდან არა უგვიანეს 10 დღისა (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 46.5).

არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში საარჩევნო სუბიექტები ვალდებული არიან უზრუნველყონ სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დაეკისრებათ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 46.8).

სააგიტაციო მასალის განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი, ასევე არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში საარჩევნო სუბიექტების მიერ სააგიტაციო მასალის ჩამოუხსნელობა განიხილება როგორც თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება.

შეზღუდვები, რომელიც ვრცელდება საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებზე

1. წინასაარჩევნო აპითაქიის განვაა და აპითაქიაში მონაწილეობა

წინასაარჩევნო აგითაციის განვის და აგითაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა:

- საარჩევნო კომისიის წევრისა;
- მოსამართლისა;
- საქართველოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საჯარო მოხელეებისა;
- გენერალური აუდიტორისა;
- საქართველოს სახალხო დამცველისა;
- უცხო ქვეყნის მოქალაქისა და ორგანიზაციისა;
- საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციებისა;
- სახელმწიფო ხელისუფლებისა და **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებისა** – სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს;

- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრებისა.

წინასაარჩევნო აგიტაცია გულისხმობს ამომრჩეველთა მონოდებას საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერ საჯარო მოქმედებას, რომელიც ხელს უწყობს, ან ხელს უშლის მის არჩევას (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 2.31).

წინასაარჩევნო აგიტაციად მიიჩნევა ასევე, ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 2.31):

- წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზება/ჩატარებაში მონაწილეობა;
- საარჩევნო მასალების შენახვა, ან გავრცელება;
- მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა;
- პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.

2. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად არჩევა/დანიშვნა

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად შეიძლება აირჩეს/დანიშნოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილ მოთხოვნებს.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად არ შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს:

- პირი, რომელიც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის საარჩევნო კომისიამ ან სასამართლომ გაათავისუფლა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში დაკავებული თანამდებობიდან, – თანამდებობიდან გათავისუფლების დღიდან 4 წლის განმავლობაში;
- პირი, რომელიც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამო სასამართლოს მიერ ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად, – სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 4 წლის განმავლობაში;
- ნასამართლევ პირი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირს სანქციის სახით შეფარდებული აქვს ჯარიმა);
- საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი;
- საქართველოს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრები და მათი მოადგილეები;
- სამინისტროს დეპარტამენტებისა და სამმართველოების ხელმძღვანელები;
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს თავმჯდომარე, მერი და მათი მოადგილეები;
- სამხედრო მოსამსახურეები, საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო

დანესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მოსამსახურეები;

- მოსამართლეები და მათი თანამემწეები;
- პროკურატურის თანამშრომლები;
- საარჩევნო სუბიექტი/სუბიექტობის კანდიდატი და მისი წარმომადგენელი;
- დამკვირვებელი.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად შეიძლება დაინიშნოს/აირჩეს საჯარო მოსამსახურე (გარდა საარჩევნო კოდექსის 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“-„კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირებისა). მასზე არ გავრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით თანამდებობრივი შეუთავსებლობის შესახებ დადგენილი მოთხოვნები.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად საჯარო მოსამსახურის დანიშვნის/არჩევის შემთხვევაში საჯარო მოსამსახურეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში დროებით შეიძლება შეუჩერდეს უფლებამოსილება მუდმივ სამუშაო ადგილას, რისთვისაც მას კანონით დადგენილი წესით ეძლევა ანაზღაურებისგარეშე შვებულება ან კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულება საკუთარი მოთხოვნის შესაბამისად.

3. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი პირის დამკვირვებლად რეგისტრაცია

არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებენ შესაბამისი რეგისტრაციის მქონე ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციები. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს ორგანიზაციის წარმომადგენლის – ადგილობრივი დამკვირვებლის – მეშვეობით.

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ადგილობრივი დამკვირვებელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, გარდა:

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისა;
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრისა, მერის და მისი მოადგილისა;
- მოსამართლისა;
- საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებისა;

- პროკურატურის თანამდებობის პირისა;
- საარჩევნო სუბიექტისა და მისი წარმომადგენლისა;
- საარჩევნო კომისიის წევრისა.

ზემოთ აღნიშნული შეუთავსებლობის არსებობის შემთხვევაში დამკვირვებლად წარდგენილი პირს უარი ეთქმევა რეგისტრაციაზე, ხოლო თუ პირი გატარდა რეგისტრაციაში კომისიის მდივნის განკარგულებით გაუქმდება რეგისტრაცია შეუთავსებლობის ფაქტის გამოვლენისთანავე.

4. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ ცესკოსთვის განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა დაკავებული თანამდებობებიდან უნდა გადადგნენ შემდეგი თანამდებობის პირები:

- საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრები და მათი მოადგილეები, სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;
- ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრები;
- საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები;
- გენერალური აუდიტორი და მისი მოადგილეები;

- სახელმწიფო რწმუნებულები – გუბერნატორები და მათი მოადგილეები;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, მერი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოფიცრები;
- მოსამართლეები;
- საქართველოს სახალხო დამცველი და მისი მოადგილე;
- საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველები;
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები;
- საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი და მისი მოადგილეები;
- პროკურორები, მათი მოადგილეები და თანაშემწეები, გამომძიებლები;
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრები.

აღნიშნული თანამდებობის პირის გადადგომის/გათავისუფლების შესახებ სათანადო სამართლებრივი აქტი დაუყოვნებლივ წარედგინება ცესკოს. წინააღმდეგ შემთხვევაში პირს უარი ეთქმება საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაზე, ხოლო თუ რეგისტრაცია განხორციელდა, იგი უქმდება.

ადმინისტრაციული რესურსები

ადმინისტრაციული რესურსის ბუსტი დეფინიცია არ არსებობს, თუმცა მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციული რესურსი არის ქონება ან სხვა სახის რესურსი, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესასრულებლად. ამ საკითხს არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი ეხება და ცდილობს მასთან დაკავშირებით გარკვეული სახის ერთგვაროვანი მიდგომა ჩამოაყალიბოს. ამ დოკუმენტებისა და მეცნიერთა მოსაზრებების ანალიზზე დაყრდნობით შესაძლოა ჩამოვაყალიბოთ ადმინისტრაციული რესურსების შემდეგი სახეები¹:

სამართლებრივი (საკანონმდებლო და მარეგულირებელი) რესურსები	გადანყვეტილების მიმღები საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებისა და სასამართლოების საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის ან მისი კანდიდატის პოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება
ინსტიტუციური რესურსები	წინასაარჩევნო ღონისძიებების ორგანიზება-ჩატარებისთვის სახელისუფლებო სტრუქტურების საოფისე ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, შენობა-ნაგებობების, დაქვემდებარებული საჯარო მოხელეების და სახელმწიფოს თანხებით დაფინანსებული სხვა მატერიალური და ადამიანური რესურსების გამოყენება
ფინანსური რესურსები	ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო რესურსების მიმართვა საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის ან მისი კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეწყობისთვის

¹ THE ABUSE OF ADMINISTRATIVE RESOURCES (Draft). Regulation in an international Context and the Georgian situation. Dr Magnus Ohman. February 2010.

ძალისმიერი რესურსები	პოლიტიკურ ოპონენტებზე, მათ მხარდამჭერებზე და ამომრჩევლებზე ნებისმიერი სახის ზემოქმედებისთვის ძალადობრივი ან/და სხვა უკანონო მექანიზმების გამოყენება
მედია რესურსები	სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტებიდან დაფინანსებული ბეჭდური და ელექტრონული მედია საშუალებების მიერ საარჩევნო სუბიექტის ან მისი კანდიდატის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენება

პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის თანაბარი პირობების უზრუნველყოფა, ასევე სახელმწიფოსა და პარტიებს შორის ზღვრის არსებობის აუცილებლობა ხაზგასმულია არაერთ საერთაშორისო დოკუმენტში, რომლებიც საქართველოსთვისაც სავალდებულო ძალას ატარებს. მათ შორისაა ადამიანის უფლებათა შესახებ აქტები (ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია² 1950წ; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ³ 1966წ. და სხვა). ასევე, ამ სფეროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქტი - ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტი⁴ (1990):

- აუცილებელია სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიას შორის მკაფიო გამიჯვნა, პარტია არ უნდა იყოს აღრეული სახელმწიფოსთან (მუხლი 5.4);

² <http://www.echr.coe.int/ECHR/EN/Header/Basic+Texts/The+Convention+and+additional+protocols/The+European+Convention+on+Human+Rights/>

³ <http://www2.ohchr.org/english/law/ccpr.htm>

⁴ ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის თათბირი - ეუთო (შემდგომში, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია - ეუთო)

- სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს ინდივიდის ან ჯგუფის უფლებას სრული თავისუფლებით დააფუძნოს პოლიტიკური პარტია ან სხვა პოლიტიკური ორგანიზაცია და უზრუნველყოს ასეთი პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები აუცილებელი სამართლებრივი გარანტიებით, რათა მიეცეთ მათ შესაძლებლობა კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს თანასწორობის საფუძველზე, როგორც კანონის ძალით და ასევე ხელისუფლების მხრიდან (მუხლი 7.6);
- სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს პოლიტიკურად და სამართლებრივად პოლიტიკური კამპანიის თავისუფალ და სამართლიან გარემოში წარმართვა, რომელშიც არც ადმინისტრაციული ქმედება, ძალადობა ან დაშინება არ უშლის ხელს არც პარტიებს და კანდიდატებს თავისუფლად წარმოაჩინონ თავიანთი შეხედულებები და კვალიფიკაცია, არც ამომრჩეველს – შეიტყონ და განიხილონ [პარტიების და კანდიდატების შეხედულებები და კვალიფიკაცია] ან მისცენ ხმა სასჯელის შიშისგან თავისუფლად (მუხლი 7.7);
- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ არანაირი სამართლებრივი ან ადმინისტრაციული დაბრკოლება არ შეიქმნას მედიის შეუზღუდავ არადისკრიმინაციულ ხელმისაწვდომობაში ნებისმიერი პარტიის და ინდივიდისათვის, ვისაც აქვს სურვილი მონაწილეობა მიიღოს საარჩევნო პროცესში (მუხლი 7.8).

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა

წინასაარჩევნო აგიტაციაში⁵ მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერ პირს წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში შემდეგი სახის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება:

- სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აგრეთვე იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, დაკავებული შენობების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ სხვა პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს, საარჩევნო სუბიექტებს არა აქვთ იმავე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა (საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი);

კომენტარი/განმარტება - შენობების ერთი პოლიტიკურ პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის ან საარჩევნო სუბიექტის მიზნებისთვის გამოყენების შემთხვევაში, თუ იგივე სახის შესაძლებლობა სხვა

⁵ წინასაარჩევნო აგიტაცია - ამომრჩეველთა მონოლეტა მონოლეტა საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის, წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდაჭერათა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.

პოლიტიკურ პარტიას, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატს ან საარჩევნო სუბიექტს არ მიეცა, ჩაითვლება ადმინისტრაციული რესურსის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპის დარღვევად იმ თანამდებობის პირის მიერ, ვინც უმოქმედობით ან დაუსაბუთებელი უარით არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას.

ამ ნორმაში მოცემულ - საარჩევნო სუბიექტის შესაბამის მიმართვას, როგორც წესი, დასაბუთებული წერილობითი პასუხი უნდა გაეცეს მიმართვიდან არაუმეტეს 24 საათისა, რა დროშიც პასუხის გაუცემლობა ჩაითვლება მიმართვაზე უარის თქმად. აღნიშნული წესიდან გამონაკლისი დაიშვება ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში. ამასთან, აღნიშნული ნორმა მოიცავს: იმ პირების სარგებლობაში არსებული სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შენობა-ნაგებობებს, რომლებიც მათ გადაცემული აქვთ ხელშეკრულების საფუძველზე გარკვეული ფუნქციის შესასრულებლად.

- სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება (საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი);

კომენტარი/განმარტება - სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომელთა დაფინანსება ხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების (მათ შორის ელ-

ფოსტა), საინფორმაციო მომსახურებისა (მათ შორის ოფიციალური ვებ-გვერდი ან/და ბიუჯეტის სახსრებით ადმინისტრირებული სოციალური მედია) და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება იკრძალება.

ამ მუხლის მიზნებისათვის ორგანიზაციადად, რომელთა დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, განიხილებიან სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები. ორგანიზაციები, რომელთა დაფინანსება ხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან - საჯარო და კერძო სამართლის ის იურიდიული პირები, რომლებშიც სახელმწიფო წილი შეადგენს 20%-ს ან მეტს.

- სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება (საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი):

ყურადღება!

შეზღუდვა არ ვრცელდება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების⁶ მიერ მათი სამსახურეობრივი ავტომატჩანების გამოყენებაზე, რომელთა დაცვას კანონით დადგენილი წესით

⁶ პოლიტიკური თანამდებობის პირი – საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრები და მათი მოადგილეები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი, სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი.

უზრუნველყოფს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური (საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

საქართველოს კანონის „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირებს საარჩევნო კოდექსის მიზნებისათვის წარმოადგენენ: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე; საქართველოს პრემიერ-მინისტრი; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა ორგანოების ხელმძღვანელები.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პერსონალური დაცვა შეიძლება დაენიშნოს ან მოეხსნას: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს; საქართველოს პარლამენტის წევრს; საქართველოს მთავრობის წევრს; საქართველოს სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელს; საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების მაღალი რანგის თანამდებობის პირს სამსახურეობრივი უფლებამოსილების პერიოდში.

აღნიშნული მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით, რომლის შესახებაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს ცესკოს თავმჯდომარე, აგრეთვე შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (საარჩევნო კოდექსის 88-ე მუხლი, 93-ე მუხლის პირველი პუნქტი).

უწყებათაშორისი კომისია

საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით, უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაციისა და შესაბამისი წინადადებების შემუშავების უზრუნველსაყოფად, უწყებათაშორისი კომისია მორიგი საერთო არჩევნების შემთხვევაში იქმნება არაუგვიანეს არჩევნების წლის 1 ივლისისა, ხოლო საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე, შუალედური ან ხელახალი არჩევნების, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე ან ხელახალი არჩევნების შემთხვევაში - არჩევნების დანიშნვიდან 3 დღის ვადაში.

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის ოქტომბერში გასამართი მორიგი არჩევნებისათვის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია შეიქმნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 21 ივნისის- №307- ბრძანებით⁷.

კომისიის უფლებამოსილება

- საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად და კომისიის დებულების მიზნიდან გამომდინარე, კომისია:

⁷ ბრძანება იხ. შემდეგ ბმულზე: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4230849>

- უზრუნველყოფს უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაციას და ხელს უწყობს დიალოგს საქართველოს მთავრობასა და არჩევნებში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის. ამ მიზნით, კომისია თანამშრომლობს კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებთან, აგრეთვე, საარჩევნო პროცესში ჩართულ სხვა პოლიტიკურ პარტიებთან/საარჩევნო ბლოკებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დამკვირვებლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან;
- უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესში ჩართული სუბიექტებისგან საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ მიღებული ინფორმაციის, ასევე, მედიით გავრცელებული ცნობების გადამოწმებას;
- განიხილავს საკითხებს, რომლებიც უკავშირდება საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებთან მიმართებით მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, აგრეთვე, იმ დარღვევების შესახებ ინფორმაციას, რომელთაც კომისიას აწვდიან პოლიტიკური გაერთიანებები (საარჩევნო სუბიექტები) ან დამკვირვებელი ორგანიზაციები.
- საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით, კომისია შეიმუშავებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს საჯარო მოსამსახურეების,

ადმინისტრაციული ორგანოების, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისადმი და მიმართავს მათ შესაბამისი ღონისძიებების გონივრულ ვადაში გატარების მოთხოვნით.

კომისიის საქმიანობის წესი

უწყებათაშორისი კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 2 კვირაში ერთხელ, ხოლო საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ - არანაკლებ კვირაში ერთხელ.

კომისია უფლებამოსილია, თუ კომისიის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

კომისია თანამშრომლობს კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებთან, აგრეთვე, სხვა პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებთან. მათი წარმომადგენლები სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ კომისიის საქმიანობაში და კომისიას მიაწვდიან ინფორმაციას საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ.

კომისიის საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, კომისიის სხდომაზე შეიძლება მონვეულ იქნენ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების, სხვა პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების,

აგრეთვე კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სხვა დაინტერესებული პირებისა და საარჩევნო პროცესში ჩართული სუბიექტების თითო წარმომადგენელი.

კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის სხდომის ოქმი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე ქვეყნდება.

საბიუჯეტო თანხების გამოყენების აკრძალვა

- არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროექტები/პროგრამები ფინანსდება არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე შესაბამისი ბიუჯეტის სათანადო პროგრამული კოდით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ან/და ამ ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრებით, აგრეთვე დონორების მიერ გამოყოფილი სახსრებით (საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტი);
- არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით, აკრძალულია სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ოდენობის ზრდა, გარდა

იმ გასაცემლებისა, რომელთა ოდენობის ზრდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე, აგრეთვე ისეთი სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ან/და შეღავათების დაწესება, რომლებიც არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე გათვალისწინებული არ იყო საქართველოს კანონმდებლობით (საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

ყურადღება!

აღნიშნული წესების დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს⁸ შეუძლია მიმართოს მხოლოდ სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება.

შენიშვნა: აღნიშნული აკრძალვები არ ვრცელდება სტიქიური უბედურების ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისა და საარჩევნო კოდექსის შესაბამისად სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ორგანოთა მიერ კენჭისყრის შენობის მოწყობის ან/და სარემონტო სამუშაოების დაფინანსებაზე (საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

- წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით ისეთი სააგიტაციო მასალის, ვიდეო-ან აუდიო მასალის დამზადება, ვებგვერდის ან მისი ნაწილის

⁸ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით გათვალისწინებული პირები

შექმნა, რომელშიც/რომელზედაც ასახულია ესა თუ ის საარჩევნო სუბიექტი/პოლიტიკური პარტია ან მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი ან/და რომელიც შეიცავს ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის/პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერ/საწინააღმდეგო ინფორმაციას.

იმავე პერიოდში აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით დამზადებულ სოციალურ რეკლამაში საარჩევნო სუბიექტის/პოლიტიკური პარტიის ან მისი რიგითი ნომრის გამოყენება. (საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-6 პუნქტი);

აღნიშნული მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით და რომლის შესახებაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს ცესკოს თავმჯდომარე, აგრეთვე შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (საარჩევნო კოდექსის 88-ე მუხლი, 93-ე მუხლის პირველი პუნქტი).

ყურადღება!

აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებაზე/პრეზენტაციაზე ორგანიზატორის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის განწევა.

აღნიშნული ქმედება ჩაითვლება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებად (საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-7 პუნქტი).

თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა

წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს⁹, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში უკავია თანამდებობა, ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის ან საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში თავისი თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება.

თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებაში იგულისხმება:

- სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმა ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას (საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი):

⁹ წინასაარჩევნო აგიტაციის განვეის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა: ა) საარჩევნო კომისიის წევრისა; ბ) მოსამართლისა; გ) საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, პროკურატურის, დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საჯარო მოხელეებისა; დ) გენერალური აუდიტორისა; ე) საქართველოს სახალხო დამცველისა; ვ) უცხო ქვეყნის მოქალაქისა და ორგანიზაციისა; ზ) საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციებისა; თ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებისა - სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს; ი) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრებისა.

კომენტარი/განმარტება – წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში უკავია თანამდებობა, ეკრძალება რომელიმე პარტიის (საარჩევნო ბლოკის) ან კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში უშუალოდ სამსახურებრივად დაქვემდებარებული პირების და ასევე სხვაგვარად დამოკიდებული პირების ჩაბმა, მათ შორის, სამსახურებრივად დაქვემდებარებულ პირებთან შეხვედრის დროს თანამდებობის პირის მიერ პოლიტიკურ პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის ან საარჩევნო სუბიექტის წარდგენა, ან რომელიმე კანდიდატის მხარდასაჭერი, ან მისი საწინააღმდეგო განცხადების გაკეთება.

ამ მუხლის მიზნებისათვის ტერმინი „სხვაგვარად დამოკიდებული პირები“ აღიქმება როგორც პირები, რომლებიც საქმიანობიდან გამომდინარე მატერიალურად ან რაიმე სხვა ფორმით დამოკიდებულნი არიან აღნიშნული თანამდებობის პირებზე.

- სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინებების დროს ხელმოწერების შეგროვება და წინასაარჩევნო აგიტაციის განწევა (საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი):

კომენტარი/განმარტება – წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს¹⁰, რომელსაც სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში უკავია თანამდებობა, ეკრძალება

¹⁰ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირის განმარტება იხილეთ მე-9 მენიშვნაში

ხელმოწერების შეგროვება და აგიტაციის განწევა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფინანსებული სამსახურეობრივი მივლინების დროს.

- წინასაარჩევნო აგიტაციის განწევას სამუშაო საათების განმავლობაში ან/და სამსახურეობრივი ფუნქციების შესრულებისას.

კომენტარი/განმარტება - სამსახურეობრივი ფუნქციების შესრულების დროდ ჩაითვლება საჯარო მოხელის მხრიდან უშუალოდ სამსახურეობრივი ფუნქციების შესრულება, მათ შორის ანაზღაურებადი დრო.

ამ ნორმის მიზნებისათვის სამუშაო საათებში არ ჩაითვლება შესვენებისთვის განკუთვნილი დრო.

აღნიშნული მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით და რომლის შესახებაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს ცესკოს თავმჯდომარე, აგრეთვე შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (საარჩევნო კოდექსის 88-ე მუხლი, 93-ე მუხლის პირველი პუნქტი).

ყურადღება!

შეზღუდვა არ მოქმედებს პოლიტიკური თანამდებობის პირებზე¹¹ აგრეთვე იმ შემთხვევაზე, როცა ხდება ტელერადიომაუწყებლობის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის გამოყენება.

¹¹ "პოლიტიკური თანამდებობის პირის" განმარტება იხილეთ მე-6 შენიშვნაში

საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციის ვადის გასვლიდან კენჭისყრის დღის დამთავრებამდე აკრძალულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, პოლიციისა და პროკურატურის ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა საკადრო გადაადგილება, გარდა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლის ან/და მათ მიერ კანონის დარღვევის შემთხვევებისა.

პასუხისმგებლობა კანონმდებლობის დარღვევისათვის

1. საქართველოს ორგანული კანონით "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები

საქართველოს საარჩევნო კოდექსი, **მუხლი 79**. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება კანონის დარღვევით

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება – გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი, **მუხლი 80**. წინასაარჩევნო მონოდებებისა და მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლა

1. საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით წინასაარჩევნო მონოდებების, განცხადებების, წარწერების, ფურცლების, ფოტო - და სხვა მასალების გავრცელებისათვის

ხელის შეშლა და ჩამორთმევა, აგრეთვე სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მონყობილობით აღჭურვილი სხვა საშუალებების ჩამორთმევა ან წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისათვის ხელის შეშლა – გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი თანამდებობის პირთა მიერ, – გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი, **მუხლი 88**. წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა

წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისას და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისას საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალის- ინებული პასუხისმგებლობის ზომები

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, **მუხლი 174¹**. შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა

1. შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა, – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზატორის მიერ, – გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

3. სასამართლოს შესასვლელის ბლოკირება, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას ან საქართველოს საერთო სასამართლოში – გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

4. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9, მე-11 და 11¹ მუხლებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით, ხოლო თუ დამრღვევი ორგანიზატორია – დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისათვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, **მუხლი 174²**. შეკრებისათვის ან მანიფესტაციისათვის ხელის შეშლა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით

შეკრებისათვის ან მანიფესტაციისათვის, აგრეთვე მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, - გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, **მუხლი 150**. თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება (ამონარიდი)

1. სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე, ასევე პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი, ღობეებისა და შენობების შეუღებავად მიტოვება, - გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, - გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 79-ე და 88-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ცესკოს თავმჯდომარე, აგრეთვე ცესკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები).

უკანონოდ ჩამოხსნილი, ჩამოხეული, დაფარული ან დაზიანებული საარჩევნო პლაკატების საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-80 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნაწილში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174²-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, მისდამი დაქვემდებარებული საარჩევნო კომისიები, მის მიერ უფლებამოსილი პირები ან/და საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოები.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოები, ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტის ორგანოთა მიერ უფლებამოსილი პირები; (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი - მუხლი 239.13,14). ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი განეკუთვნება მკაცრი აღრიცხვის ფორმებს. მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაცია ან ხელახალი რეგისტრაცია (მკაცრი აღრიცხვის ფორმაში ცვლილებების შეტანა), რეგულირდება და ხორციელდება საქართველოს კანონის "მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №69 ბრძანების "მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" შესაბამისად.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში აღინიშნება:

- მისი შედგენის თარიღი და ადგილი;
- შემდგენის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი და გვარი;

- მონაცემები დამრღვევის პიროვნების შესახებ, მათ შორის, პირადი ნომერი ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი;
- ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის;
- მოწმეთა და დაზარალებულთა გვარები და მისამართები, თუ ისინი არიან;
- დამრღვევის ახსნა-განმარტება;
- საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები.
- ოქმს ხელს აწერენ მისი შემდგენი და სამართალდამრღვევი. ოქმს შეიძლება ხელი მოაწერონ აგრეთვე მოწმეებმა და დაზარალებულებმა (მათი არსებობის შემთხვევაში).

თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს უფლება აქვს, წარმოადგინოს ოქმისათვის დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე ჩამოაყალიბოს მის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები, რაც აღინიშნება ოქმში (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი - მუხლი 240).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი დაუყოვნებლივ ეგზავნება რაიონულ/საქალაქო სასამართლოს, რომელიც განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი - მუხლი 241).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს რაიონული/საქალაქო სასამართლო, განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და სხვა მასალების მიღებიდან თხუთმეტი დღის ვადაში, 174¹ და 174² მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს – 3 დღის ვადაში, (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი - მუხლი 262).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილება მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, შეუძლია გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც არის გამოტანილი დადგენილება. ასევე, დაზარალებულმა ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენმა (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი - მუხლი 271, 273).

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებით საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრაციულ სამართალ- დარღვევათა ოქმის შედგენის პრაქტიკა

(2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, 2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის, 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, 2013 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის და 2012 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნები)

- 2017 წლის 29 სექტემბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მომართა ერთ-ერთმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის ფეისბუქ გვერდზე მითითებული იყო ერთ-ერთი პოლიტიკური გაერთიანების მერობის კანდიდატის ფეისბუქ გვერდი.

განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე პოლიტიკური გაერთიანების კანდიდატის ფეისბუქის განთავსებით დაირღვა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი წესები წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვასთან დაკავშირებით.

განმცხადებელი განმარტავდა, რომ მუნიციპალიტეტის ვებგვერდი იყო ადმინისტრაციული რესურსი. კერძოდ, მუნიციპალიტეტის კუთვნილი საკომუნიკაციო საინფორმაციო საშუალება,

რომელსაც ადმინისტრირებას უწევდნენ მასში დასაქმებული პირები. როგორც წესი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლები. შესაბამისად, ეს საკომუნიკაციო რესურსი უნდა მომსახურებოდა მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და აქტივობების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას. აღნიშნულ შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ერთიანი ვებ-გვერდის, საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება ხდებოდა ერთ-ერთი პოლიტიკური გაერთიანების კანდიდატის წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით. აღნიშნული ქმედება წარმოადგენდა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას და ეწინააღმდეგებოდა მუნიციპალიტეტის ორგანოთა ნეიტრალიტეტისა და მიუკერძოებლობის პრინციპს. მსგავსი მიდგომით შეუძლებელი ხდებოდა ზღვრის გავლება მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და პარტიულ აქტივობებს შორის.

განცხადების მიხედვით, აღნიშნული ქმედებით ხორციელდებოდა საარჩევნო კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევა და შესაბამისად მოთხოვნილი იქნა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენება.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ დამკვირვებელი ორგანიზაციის განცხადება მერობის კანდიდატისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის მიზნით გადაუგზავნა №60 ობურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. განცხადებაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მოკვლეული მასალების საფუძველზე,

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგა მერიის პრეს სამსახურის უფროსის მიმართ და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი თანდართულ მასალებთან ერთად გადაეგზავნა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს.

ოზურგეთის რაიონულ სასამართლომ განიხილა წარმოდგენილი სამართალდარღვევის ოქმი და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 88-ე მუხლის საფუძველზე, ზემოაღნიშნული პირი ცნო სამმართალდამრღვევად, თუმცა, შემოიფარგლა მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნით.

- თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიიდან საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გადმოგზავნილ იქნა ერთ-ერთი საარჩევნო ბლოკის საჩივარი საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტთან დაკავშირებით.

საჩივარში აღნიშნული იყო, რომ 19 სექტემბერს ერთ-ერთ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ერთ-ერთი მაჟორიტარი კანდიდატი და ერთ-ერთი მერი, იმავე მაჟორიტარული ოლქის საბღვრებში მდებარე სპორტული ბაზის სამშენებლო სამუშაოებს დაესწრნენ. აღნიშნული ბაზის მშენებლობა ხდებოდა მერიის დაფინანსებით. მომჩივანმა მიუთითა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტზე - „წინასაარჩევნო აგიტაციის განწვევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა:... თ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებისა - სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს.“ აქედან გამომდინარე, საჯარო მოხელეებს წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა ეკრძალებათ სამუშაო საათებში, ასევე, სამსახურებრივი ფუნქციების განხორციელებისასაც. მოცემულ შემთხვევაში კი, ქალაქის მერი სამუშაო საათებისას ახორციელებდა მის უშუალო სამსახურებრივ მოვალეობას და ამავდროულად პირდაპირ იყო ჩართული მაჟორიტარი კანდიდატის სასარგებლოდ საარჩევნო აგიტაციაში. საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ იქნა ფოტო-მასალა, სადაც მისივე განცხადებით, დგინდებოდა, რომ აღნიშნულ შეხვედრაზე მაჟორიტარ კანდიდატს თან ახლდა მერიც. ამავე კოდექსის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილი „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში უკავია თანამდებობა, ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში თავისი თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება, რაც ამ მუხლის მიზნებისთვის გულისხმობს: ა) სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმას ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას.“ ზემოაღნიშნული ფოტო-მასალიდან ასევე ჩანდა, რომ

შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ მშენებლობაზე დასაქმებული მუშები, რომლებიც წარმოადგენდნენ ქალაქის მერთან სამსახურებრივად უშუალოდ დაქვემდებარებულ პირებს. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 88-ე მუხლის მიხედვით, „წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისას და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისას ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა - გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით,“ ხოლო იმავე კანონის 93-ე მუხლის თანახმად, „ამ კანონის 79-ე, 81-ე და 86-ე-92-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ცესკოს თავმჯდომარე, აგრეთვე ცესკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომჩივანი ითხოვდა შესაბამისი რეაგირების მოხდენას და წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების საარჩევნო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამო მერის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენას.

აღნიშნული საჩივარი გადაეგზავნა შესაბამისი ქალაქის მერს თხოვნით, საჩივარში მოყვანილ გარემოებებთან დაკავშირებით პოზიციების წარმოსადგენად. ქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის მიერ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო

კომისიაში პასუხად გამოგზავნილ იქნა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 2016 წლის სექტემბრის თვის ერთ-ერთ დღეს, ქალაქის მუნიციპალიტეტის მერმა დაათვალიერა ქალაქის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით წარმოებული სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც გამომდინარეობდა ქალაქის მერის, როგორც თანამდებობის პირის სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან. შესაბამისად, ქალაქის მერი ამ დღეს ახორციელებდა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას და ადგილი არ ჰქონია რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერ აგიტაციას. ნებისმიერ პირს ჰქონდა შესაძლებლობა დასწრებოდა ქალაქის მერის მიერ მოსახლეობასთან შეხვედრის პროცესს. ასევე, გასათვალისწინებელი იყო შემდეგი გარემოება, რომ შეხვედრა და სამუშაოების დათვალიერება შედგა სამუშაო დროის გასვლის შემდეგ და ამასთანავე, მერი არ მისულა სამსახურებრივი სატრანსპორტო საშუალებით. წერილს დანართად ჰქონდა ამონარიდი მერის დღის განრიგიდან. ასევე, წერილში ყურადღება იყო გამახვილებული საჩივარში მითითებულ შემდეგ უზუსტობებზე: ქალაქის მერის მიმართ არ ვრცელდებოდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი, რადგან ის არ არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე. სამუშაოს განმახორციელებელი სუბიექტის თანამშრომლები - მშენებლობაზე დასაქმებული მუშები კი ვერ ჩაითვლებოდნენ მერისადმი სამსახურებრივად დაქვემდებარებულ პირებად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკითხის შესწავლის შედეგად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ქალაქის მერიის მიმართ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნათა დარღვევის გამო, რაც გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებაზე ქალაქის მერის მიერ კონკრეტული საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ წინასაარჩევნო აგიტაციის განწევას - ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას. აღნიშნული ოქმი გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ადმინისტრაციული სახდელის შეფარდებისთვის. სასამართლომ ქალაქის მერია ცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 88-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, ის გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან და გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა.

- 2014 წლის 17 აპრილს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა ერთ-ერთი პოლიტიკური გაერთიანების განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ერთ-ერთი

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების საარჩევნო შტაბის უფროსად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საჯარო მოხელე დაინიშნა, რომელიც პარტიის წევრებს, 2014 წლის 11 აპრილს 11 საათზე, პარტიის რაიონული ორგანიზაციის ოფისში, მუნიციპალიტეტის ასევე ერთ-ერთმა საჯარო მოხელემ წარადგინა.

განმცხადებელი მიუთითებდა, რომ ხსენებული ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეების მიერ განხორციელებული ზემოაღნიშნული ქმედებები ქმნიან „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 79-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ნორმის შემადგენლობას და ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევას. კერძოდ, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება - იწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან.

განცხადების შესწავლის შედეგად დადგენილ იქნა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილებულიყო შემდეგი სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების გამო:

„საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 79-ე მუხლის შესაბამისად: ამავე კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება – გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

ამავე კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წინასაარჩევნო აგიატაცია იწყება არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისთანავე.

„საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 133-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად: „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, თვითმმართველი ქალაქის მერის და თვითმმართველი თემის გამგებლის მორიგ არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, შესაბამისად, საკრებულოს, მერის, გამგებლის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 60 დღისა“.

ამასთანავე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, თვითმმართველი ქალაქის მერის და თვითმმართველი თემის გამგებლის არჩევნების დანიშვნის შესახებ ცნობა ქვეყნდება ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით არაუგვიანეს არჩევნების დანიშვნის მომდევნო დღისა.

საქართველოს კონსტიტუციის 731 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების დანიშვნის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 10 აპრილის სამართლებრივმა აქტმა - №10/04/02 განკარგულებამ, იურიდიული ძალა შეიძინა

2014 წლის 14 აპრილს, ამ სამართლებრივ აქტზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციის განხორციელების შემდგომ.

დადგენილია იყო, რომ კონტრასიგნაციის შემდგომ, 2014 წლის 14 აპრილს გამოქვეყნდა არჩევნების დანიშვნის თაობაზე პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი - პრეზიდენტისა და ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდებზე (იხ. ბმულები: <http://cesko.ge/uploads/other/26/26965.pdf>; [https://www.president.gov.ge/ge/PressOffice/Documents?8752](https://www.president.gov.ge/ge/PressOffice/Documents?8752;));).

შესაბამისად, 2014 წლის 14 აპრილიდან დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია და აგიტაცია და საჯარო მოხელეების მიერ წინასაარჩევნო აგიტაციაში საარჩევნო კოდექსის დარღვევით მონაწილეობა და ამავე კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდაღვევა და მასზედ შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა შესაძლებელია კოდექსის დარღვევის ისეთ ქმედებებზე, რომლებიც ჩადენილია საარჩევნო პერიოდში და არჩევნების დანიშვნის თაობაზე სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების დღიდან - 2014 წლის 14 აპრილიდან.

ვინაიდან, განმცხადებელი პოლიტიკური გაერთიანების მიერ მითითებული იყო, რომ საჯარო მოხელეებმა 2014 წლის 11 აპრილს 11 საათზე განახორციელეს წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა, ზემოაღნიშნული განმცხადებლის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოების გამო, 2014 წლის 11 აპრილს ხსენებული ქმედება ვერ განიხილება საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის დარღვევით ჩადენილ ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევად, რაც გამორიცხავს ამავე კოდექსის 79-ე მუხლის შესაბამისად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის შესაძლებლობას.

ამასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, შესწავლილ იქნა ცესკოს თავმჯდომარის სახელზე გამოგზავნილი პოლიტიკური გაერთიანების ცენტრალური საარჩევნო შტაბის უფროსის წერილი, რომლის თანახმადაც წარმოდგენილი იყო საჯარო მოხელის მიერ დაწერილი განცხადება შვებულების მოთხოვნასთან დაკავშირებით და ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება „სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ“. ამავდროულად, განცხადებაში მითითებული საჯარო მოხელეების მიერ სამუშაო დღეს, სამუშაო საათებში იმ ქმედებების განხორციელება, რომელიც არ წარმოადგენდა საჯარო მოხელეების უშუალო ფუნქციებს, შეიცავდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის ფაქტებს. კერძოდ კი აღნიშნული შეიძლება წარმოადგენდა საჯარო მოხელეების მხრიდან დისციპლინურ გადაცდომას და ასეთ გადაცდომებზე რეაგირება და დისციპლინური სახდელის დაკისრება წარმოადგენს არა საარჩევნო კომისიის არამედ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჯარო მოხელეების ამ თანამდებობაზე დამნიშნავი პირის უფლებამოსილებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა განმცხადებელი პოლიტიკური გაერთიანების განცხადება „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 79-ე მუხლით ოქმის შედგენის

მოთხოვნის თაობაზე მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეების მიმართ, სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო.

განმცხადებელი პოლიტიკური გაერთიანების განცხადება და მასზე თანდართული საქმის მასალები გადაეგზავნა საკითხის შესწავლისა და წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების კანონიერების დადგენის მიზნით მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიას.

- 2013 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოვიდა ერთ-ერთი პარტიის განცხადება (რეგისტ. №1/2913), რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნების მიმდინარეობისას №32 გორის საარჩევნო ოლქის სოფელ ფლავის საარჩევნო უბანზე სადამკვირვებლო ორგანიზაციის სახელით დაკვირვებას ახორციელებდა ცესკოს მდივნის მიერ გაცემული ადგილობრივი დამკვირვებლის მოწმობით დამკვირვებლის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, რომელმაც კენჭისყრის დღეს - 2013 წლის 27 ოქტომბერს ზემოაღნიშნულ საუბნო საარჩევნო კომისიაში დაკვირვების განხორციელებისას განაცხადა, რომ ის წარმოადგენდა ერთ-ერთი პოლიტიკური გაერთიანების პარტიულ კოორდინატორს და სურდა მიმდინარე არჩევნებისას ამ პოლიტიკური პარტიის გამარჯვება.

განმცხადებელი განმარტავდა, რომ ხსენებული ქმედება მიმდინარეობდა უშუალოდ საუბნო საარჩევნო კომისიაში, კენჭისყრის დღეს, კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობის პარალელურად და მიიჩნევდა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ თანახმად აღნიშნული ქმედება განიხილება, როგორც წინასაარჩევნო აგიტაცია, რომლითაც დაირღვა ამავე კოდექსის 45-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

განმცხადებაში აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ ამავე უბანზე კენჭისყრის პროცესის დასრულებისას, ხმის დათვლისა და შეჯამების დროს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა, ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პარალელურად, უშუალოდ კენჭისყრის ოთახში ერთობლივი ორგანიზებული, ჯგუფური ხმამაღალი სიტყვიერი შეძახილებით, მეუხარე ოვაციების - ტაშის კოლექტიური თანხლებით აღნიშნეს საქართველოს პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის გამარჯვებულად გამოვლენა მათ საარჩევნო უბანზე.

განმცხადებელი განმარტავდა, რომ კომისიის წევრთა ხსენებული ქმედებები წარმოადგენდა აგიტაციას საჯარო ფორმით, რომლითაც დარღვეულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

განმცხადებელი ითხოვდა, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ქმედით რეაგირებას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების დაწყებას, აგრეთვე

სადამკვირვებლო ორგანიზაციის სახელით დამკვირვებლის განმახორციელებელი პირის და №32 გორის საარჩევნო ოლქის სოფელ ფლავის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დაჯარიმებას საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 79-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევისათვის.

განცხადებებზე თანდართული ვიდეომასალის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებელი №32 გორის საარჩევნო ოლქის სოფელ ფლავის №66 საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში ინტერვიუს აძლევდა ერთ-ერთი საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტს, სადაც აღნიშნავდა, რომ არის გემოხსენებული პოლიტიკური გაერთიანების კოორდინატორი.

აღნიშნული დამკვირვებლის ქმედება წარმოადგენდა საჯარო მოქმედებას, რომლის მიზანი იყო 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლებზე გავლენის მოხდენა და საარჩევნო სუბიექტის არჩევისათვის ხელის შეწყობა, ამდენად მისი ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 92-ე მუხლით, როგორც დამკვირვებლის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობებისა და მოთხოვნების დარღვევა.

განცხადებებზე თანდართული ვიდეომასალის შესწავლის შედეგად აგრეთვე დადგინდა, რომ №32 გორის საარჩევნო ოლქის სოფელ ფლავის №66 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა საარჩევნო უბანზე საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის გამარჯვება ოვაციებით

აღნიშნეს. ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირებულიყო, როგორც წინასაარჩევნო აგიტაცია, რადგან საარჩევნო უბანზე ხმის დათვლის პროცესის დასრულების შემდეგ ემოციების გამოხატვა რომელიმე პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ არ იძლევა წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის შემადგენლობას.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პოლიტიკური გაერთიანების განცხადება ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის მიზნით გადაუგზავნა №32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა და თანდართულ მასალებთან ერთად გადაუგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს.

გორის რაიონულმა სასამართლომ განიხილა წარმოდგენილი სამართალდარღვევის ოქმი და სამართალდამრღვევს ადმინისტრაციული სახდელის სახით საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 92-ე მუხლის საფუძველზე განუსაზღვრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

- 2012 წლის 13 სექტემბერს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საჩივრით მომართა ერთ-ერთმა პ/პარტიამ. საჩივარში აღნიშნული იყო, რომ მაჟორიტარი კანდიდატის სარეკლამო ვიდეო რგოლი ტრიალებდა, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს რაიონულ

განყოფილებების შენობებში განთავსებულ სტენდზე. ვიდეო რგოლში ასახული იყო, თუ როგორ ურიგებდა დეპუტატობის კანდიდატი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოსახლეობას ახალი სტანდარტის პასპორტებს.

საჩივრის მიხედვით, აღნიშნული ქმედება წარმოადგენდა წინასაარჩევნო აგიტაციას და კამპანიას, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების თვალსაზრისით. ამიტომ მოთხოვნილი იქნა კანონით გათვალისწინებული ღონისძიების გატარება.

საჩივარში აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით ცესკომ წერილობით მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარეს და ითხოვა წარმოედგინა მოსაზრებები საჩივარში აღნიშნულ ფაქტებზე. ასევე მოენოდებინა ინფორმაცია სარეკლამო ვიდეო რგოლის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ წერილობით პასუხში აღნიშნა, რომ სარეკლამო რგოლის სახელწოდება იყო „ერთი დღე სამოქალაქო რეესტრთან ერთად“ და 2009 წლიდან ხდებოდა მისი დემონსტრირება სააგენტოში განთავსებულ ეკრანებზე. ამჟამად მისი დემონსტრირება შეწყვეტილი იყო. სააგენტომ ასევე დაასახელა სარეკლამო მასალის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა, მარკეტინგული კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოადგილე.

ცესკოს თავმჯდომარის მიერ საჩივარში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებითა და გამოკვლევული მასალების ანალიზის საფუძველზე განხორციელდა რეაგირება და

დასახელებული ფაქტი მიჩნეული იქნა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 79-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევად.

2012 წლის 20 სექტემბერს ცესკოს თავმჯდომარის მიერ შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სარეკლამო მასალის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ.

სამართალდარღვევის ოქმი და საქმის მასალები გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად.

სასამართლომ განიხილა წარმოდგენილი სამართალდარღვევის ოქმი და სამართალდამრღვევს ადმინისტრაციული სახდელის სახით საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 79-ე და 88-ე მუხლების საფუძველზე განუსაზღვრა ჯარიმა 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

- 2012 წლის 31 აგვისტოს ქ.თელავის ადგილობრივი ინტერნეტ გამოცემა კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ გავრცელდა ინფორმაცია, მათ შორის ფოტო და ვიდეო მასალა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების თვალსაზრისით. საკითხი მდგომარეობდა შემდეგში, რომ ერთ-ერთი კ/პარტიის წევრები სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის არიგებდნენ სასურსათო დახმარებას.

გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტიდან ქ.თელავში მივლინებულ იქნენ წარმომადგენლები რათა ადგილზე შეესწავლათ და მოეკვლიათ დარღვევის ირგვლივ გამოქვეყნებული ინფორმაცია.

მოცემულ ინფორმაციასთან დაკავშირებით გამოკითხული იქნა შემდეგი პიროვნებები: თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული და თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული მართვის ორგანოს რწმუნებული და მათ მიერ თელავის №17 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე მიცემულ იქნა წერილობითი ახსნა-განმარტებანი.

ბემოაღნიშნული შეკრებილი მასალების ანალიზის შედეგად თელავის №17 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მიიჩნია, რომ თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მხრიდან ადგილი ჰქონდა სამსახურებრივი მდგომარეობის უკანონოდ გამოყენებას, რაც გულისხმობს სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირების აგიტაციაში უკანონოდ ჩაბმას, აღნიშნული გამოიხატა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის სურსათის დარიგების პროცესში საარჩევნო სუბიექტის ატრიბუტიკიანი ჩაცმულობის მქონე ახალგაზრდების მონაწილეობაში.

შესაბამისად №17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ შედგენილ იქნა სამართალდარღვევის ოქმი, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს

საარჩევნო კოდექსი” 88-ე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული რესურსისა და სამსახურებრივი მდგომარეობის უკანონოდ გამოყენებას წინასაარჩევნო კამპანიის დროს.

საქმის მასალები და შუამდგომლობა გადაეგზავნა თელავის სასამართლოს განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით. სასამართლოზე დაბარებული იქნა სამართალდამრღვევი სუბიექტი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე. მან აღიარა სამართალდარღვევის ფაქტი და განმარტა, რომ 31 აგვისტოს, თელავში სპორტული გაერთიანების დარბაზში, სტიქიით დაზარალებულებისათვის სურსათის დარიგების დროს, მათ მიახმარა იქვე მყოფი მაისურზე საარჩევნო ნომრის გამოსახულებიანი ახალგაზრდები, რომელთაც მოხუცებულებს გადასცეს პროდუქტები.

სასამართლომ განიხილა წარმოდგენილი სამართალდარღვევის ოქმი, თანდართული მტკიცებულებები და მიიღო დადგენილება თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემისა და 2000 (ორი ათასი) ლარით დაჯარიმების შესახებ.

ინფორმაცია 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენის თაობაზე

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი	სამართალდამრღვევი	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების რაოდენობა	სასამართლოს გადაწყვეტილება			ჯარიმის ოდენობა
			დაჯარიმდა	არ დაჯარიმდა	ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად (გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა)	
საარჩევნო ადმინისტრაცია	საჯარო მოხელე	7	1	1	5	500-2000ლ.
	საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი	1	1			
	პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენელი	1	1			
	დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებელი	1	1			
	ა(ა)იპ-ის თანამშრომელი	1	1			
	მასწავლებელი	1	1			
	მოქალაქე	1	1			
სულ :	13	7	1	5		

ინფორმაცია 2016 წლის 8 და 30 ოქტომბრის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენის თაობაზე

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი	სამართალდამრღვევი	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების რაოდენობა	სასამართლოს გადაწყვეტილება		ჯარიმის ოდენობა
			დაჯარიმდა	არ დაჯარიმდა	
საარჩევნო ადმინისტრაცია	საჯარო მოხელე	1	ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად (გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა)	0	500-2000 ლ
	საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი	15	0	15	
	პოლიტიკური გაერთიანება	4	1	3	
	თვითმმართველი ქალაქის მერია	1	ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად (გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა)	0	
	საკრებულო	1	0	1	
	გამგეობა	1	0	1	
	დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებელი	1	0	1	
	სულ:	24	3	21	

ინფორმაცია 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენის თაობაზე

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი	სამართალდამრღვევი	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების რაოდენობა	სასამართლოს გადაწყვეტილება		ჯარიმის ოდენობა
			დაჯარიმდა	არ დაჯარიმდა	
საარჩევნო ადმინისტრაცია	საჯარო მოხელე	4	1	3	1000-2000 ლ
	ადმინისტრაციული ორგანო	4	2	2	
	საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი	16	1	15	
	სოლელე საარჩევნო კომისიის წევრი	1	1	0	
	სულ:	25	5	20	

ინფორმაცია 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენის თაობაზე

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი	სამართალდამრღვევი	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების რაოდენობა	სასამართლოს გადაწყვეტილება		ჯარიმის ოდენობა
			დაჯარიმდა	არ დაჯარიმდა	
საარჩევნო ადმინისტრაცია	ორგანიზაცია	2	1	1	500-2000 ლ
	საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი	6	-	6	
	საჯარო მოხელე	5	-	5	
	სულ:	13	1	12	

**ინფორმაცია 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის
საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის
ოქმების შედგენის თაობაზე**

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი	სამართალდამრღვევი	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების რაოდენობა	სასამართლოს გადაწყვეტილება		ჯარიმის ოდენობა
			დაჯარიმდა	არ დაჯარიმდა	
საარჩევნო ადმინისტრაცია	საჯარო მოხელე	26	24	2	1000- 2000 ლ
	საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი	49	47	2	
	პოლიტიკური გაერთიანება	1	1	0	
	სულ:	76	72	4	

